



24 მარტს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპრეზენტაციო დარბაზში ასოციაციამ “რონდინე მშვიდობის ციტადელი” პროექტის პრეზენტაცია მოაწყო. იტალიიდან ჩამოსულ სტუმრებს შორის იყვნენ: ლელია დელასკალა - სტუდენტთა საერთაშორისო ცენტრის დირექტორი; ელენა ნიასი - სტუდენტთა საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მოადგილე; მაურო დანდრეა - "რონდინე მშვიდობის ციტადელი" - საერთაშორისო

სამსახურის უფროსი და ლუკა პეჯინი - პროექტის მენეჯერი. ღონისძიებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და უნივერსიტეტის რექტორი დაესწრნენ.

პროექტის მიზანია 18 _ 28 წლის ასაკის სტუდენტთა მიღება 2010 წლის სასწავლო პროგრამებზე ეკონომიკის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, არქიტექტურისა და სხვა დარგებში და მსურველთ სთავაზობს 3 წლიან საბაკალავრო და 1 წლიან სამაგისტრო კურსების გავლას - არეცოს, ფლორენციის, სიენისა და პერუჯას უნივერსიტეტებში. გასაუბრების შედეგად შერჩეულ კანდიდატთა სია აპრილის ბოლოს

გამოქვეყნდება.